

რეკომენდაცია

ჯანმრთელობის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო მიხეილ,

2016 წლის 7 ოქტომბერს არასრულწლოვანი ლ. ს-ს მშობელმა მ. ს-მ N13058/16 განცხადებით მომართა საქართველოს სახალხო დამცველს. განცხადების თანახმად, მისი 10 წლის შვილს, ლ. ს-ს, ჰიპერაქტიურობის გამო, სწავლის პროცესში მუდმივად ექმნება პრობლემები, იგი სრულფასოვნად ვერ სარგებლობს განათლების უფლებით, რაც განმცხადებლის შეფასებით, არის დისკრიმინაცია.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ მულტიდისციპლინური გუნდის რამდენიმე შეხვედრას. ასევე, ინფორმაცია გამოითხოვეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, სსიპ 122-ე საჯარო სკოლიდან, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურიდან და ნეიროგანვითარების ცენტრიდან.

1. ფაქტობრივი გარემოებები

2012 წელს, როდესაც ლ. პირველი ექსპერიმენტულ სკოლის მე-2 კლასის მოსწავლე იყო, მულტიდისციპლინური ჯგუფის რეკომენდაციით, ის გადაიყვანეს პარალელურ კლასში. 2014 წელს კი, ლ-ს თხოვნით, კვლავ შეუცვალეს სკოლა და წმინდა გიორგის სახელობის კერძო სკოლაში გადაიყვანეს. ქცევის პრობლემების გამო, სკოლის ხელმძღვანელობის მოთხოვნის შედეგად, ლ. მშობლებმა კერძო სკოლიდან 122-ე საჯარო სკოლაში გადაიყვანეს. ვინაიდან ამ სკოლაშიც იმავე პრობლემებმა იჩინა თავი, დირექტორმა ბავშვის შინ სწავლაზე გადაყვანა მოითხოვა. 2016 წლის 16 მარტს მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგია და ლ. სასწავლო პროცესში ჩართეს.

განცხადების თანახმად, 2016 წლის 30 სექტემბერს, სწავლის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, დერეფანში ბავშვებთან თამაშის დროს, ლ-ს ხელი შემთხვევით მოუხვდა მისი თანაკლასელი გ. გ-სთვის, რომელსაც მოძვრა მორყეული სარძევე კბილი. სკოლის წარმომადგენლებმა ლ. დაადანაშაულეს, რომ მან განზრახ დაარტყა გ-ს და მოტეხა კბილი. ლ. უარყოფდა ბრალდებას და ცდილობდა აეხსნა მათთვის რომ ეს იყო შემთხვევითობა. იმის გამო, რომ მას არ უსმენდნენ, ლ. აძვრა ღია ფანჯარაზე და დაიმუქრა, რომ თუ არ მოუსმენდნენ, გადახტებოდა. ამის შემდეგ ის ჩაიყვანეს მანდატურის ოთახში, სადაც, სტრესის ფონზე, ბავშვმა ფიზიოლოგიური მოთხოვნილება დაიკმაყოფილა. განცხადების თანახმად, ინციდენტის გამო, მშობლებს მოსთხოვეს ლ-ს სკოლიდან გადაყვანა ან შინ სწავლება.

შპს „ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის“ წერილის თანახმად, 2015 წელს ლ-ს ჩაუტარდა ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება და აკადემიური უნარების შესაფასებელი ტესტი MWRAT-R. ტესტის თანახმად, გამოვლინდა დასწავლის უნარის დაქვეითება და ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი. აღნიშნული გულისხმობს, რომ ლ-ს არ ჰყოფნის მასალის ათვისების რესურსი, რადგან მისი ვიზუალურ-სივრცითი ინფორმაციის გადამუშავება და მუშა მეხსიერება დაქვეითებულია თავის ტვინის ატიპური ფუნქციური ასიმეტრიის ფონზე. რესურსების ნაკლებობა ხელს უწყობს ბავშვში უსუსურობის განცდას, რასაც ემატება მისი იმპულსურობიდან გამომდინარე ექსპლოზიური ქცევა, როგორც რეაქცია საკუთარ უძლურებაზე. ტესტის შედეგების მიხედვით, ბავშვის უნარების გავარჯიშება და თვითკომპეტენტურობის გაძლიერება, მისი მოტივირება და მისაღები ქცევის დადებითად განმტკიცება, ბავშვის იმპულსური ქცევის გარედან დაგეგმვა და მისთვის სტრუქტურირებული გარემოს შექმნა, ასუსტებს მის ოპოზიციურ-დევიანტურ ქცევას.

აღნიშნული ინციდენტის შესახებ სკოლის 2016 წლის 24 ოქტომბრის წერილის თანახმად, საკლასო ოთახში შესვლამდე ლ-მ ძლიერ მოხვია ხელი ყელზე გ. გ-ს, რომელმაც ხელი გააშვებინა, რა დროსაც ლ-მ იდაყვი მოარტყა ტუჩებში, რის შედეგადაც გ-ს ჩამოუვარდა კბილი (რომელიც მოსაცვლელი იყო). გ-ს წასკდა სისხლი, რის გამოც დაიწყო ტირილი, ლ. კი დერეფანში გაიქცა და თან თავში წიგნს ირტყამდა სიტყვებით: „შემთხვევით მომივიდა“, „ძალით არ მინდოდა“. ფსიქოლოგი შევიდა თუ არა საკლასო ოთახში, დაიწყო ფანჯრებს დახურვა (საკლასო ოთახი ნიავედებოდა გაკვეთილების დაწყებამდე), ამ დროს ლ. ახტა ღია ფანჯრის რაფაზე მუხლებით და ხტებოდა, შეიძლება გადავარდნილიყო კიდეც, მისთვის თანაკლასელს ხელი რომ არ ჩაეველო ფეხში. ამ დროს სწრაფად მივიდა ფსიქოლოგი და ლ. ფანჯრის რაფიდან ჩამოიყვანა. ამას მოჰყვა ლ-ს ყვირილი, რომ დედამისისთვის არ დაერეკათ. დირექტორის დანახვისას ლ. გაჩერდა და ყვირილი შეწყვიტა. ლ-ს უსაფრთხოებისთვის, ის გაიყვანეს მანდატურის ოთახში, სადაც მისცეს სახატავი, რომ დამშვიდებულიყო. დირექტორის განმარტებით, ლ-ს მამამ სკოლა დაადანაშაულა ლ-ს თანდასწრებით და წარმოშვა კონფლიქტი. კონფლიქტურ სიტუაციაში დირექტორიც აღელდა

და თქვა, რომ თუ ასეთი უკმაყოფილოები არიან, მათ შეუძლიათ ლ. გადაიყვანონ სკოლიდან ან გადავიდნენ შინ სწავლაზე, ვიდრე მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. ამასთან, სკოლის დირექტორის წერილის თანახმად, სკოლაში, ლ-ს გარდა, არის 11 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდეგში სსსმ მოსწავლე), რომელთანაც მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ლ-ს ქცევებიდან გამომდინარე, სხვა მოსწავლეების მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მიუხედავად იმისა, რომ დირექტორი ბევრჯერ ესაუბრა მათ და შემწყნარებლობისკენ მოუწოდა, მშობლებმა ბავშვები კლასიდან გადაიყვანეს. დირექტორმა წარმოადგინა მშობლების განცხადება, რომლებიც წინააღმდეგები არიან, რომ ლ-მ ისწავლოს მათი შვილების კლასში და მის ქცევას ახასიათებენ როგორც არაადეკვატურს და აგრესიულს. განცხადებაში მშობლები შიშს გამოთქვამენ მათი შვილების უსაფრთხოების გამო. ასევე წარმოდგენილია მასწავლებლების ახსნა-განმარტებები, სადაც ლ-ს ქცევას ახასიათებენ „არაადეკვატურად“ და გამოხატავენ დაბნეულობას, რადგან არ იციან როგორ გაუმკლავდნენ ბავშვის იმპულსურ ქცევას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის 2016 წლის 8 ნოემბრის შეფასების თანახმად, ლ. ს-ს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-5 თავის 27-ე მუხლის თანახმად, თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. მისი სწავლება უნდა წარიმართოს მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის მიხედვით. დასკვნა ასევე მოიცავს რიგ რეკომენდაციებს ლ-სთან მუშაობის მეთოდების შესახებ.

2016 წლის 5 ოქტომბერს ბავშვს კონსულტაცია ჩაუტარა ფსიქიატრმა, რომლის დასკვნის თანახმად, ლ. ს-ს დიაგნოზი არის აქტიურობისა და ყურადღების დარღვევა F90.0. დასკვნის თანახმად, ლ-სთვის რეკომენდებულია ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოთერაპიის კურსი, შემცირებული საგაკვეთილო განრიგი, რათა თავიდან იქნას აცილებული გადაღლა, ასევე, სასურველია პირველი სემესტრის განმავლობაში ლ-ს ქცევას გაკვეთილის განმავლობაში თვალყურს ადევნებდეს სპეციალური მასწავლებლის ასისტენტი. ლ-სთვის არ არის რეკომენდებული სკოლის შეცვლა და სკოლის მასწავლებელთა კოლექტივისთვის სასურველია ტრენინგის გავლა ქცევით თერაპიაში.

2016 წლის 25 ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სახალხო დამცველის აპარატს მოაწოდა შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა. დასკვნის თანახმად, სკოლამ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი, როდესაც ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე ლ. ს-ს მშობლის განცხადება დაუყოვნებლივ არ ჩაიბარა და არ გაატარა რეგისტრაციაში. დეპარტამენტმა დაადგინა დირექტორის ეთიკის კოდექსის დარღვევა, რადგან დირექტორი აღელდა და ეკამათა მოსწავლის მამას. აუდიტის სამსახურის დასკვნის თანახმად, დადგინდა, რომ სკოლის დირექტორმა 2016 წლის 11 ოქტომბრის N1218439 წერილით მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის

სამსახურს და ითხოვა, მიეცათ რეკომენდაცია, სკოლას შეეძლო თუ არა სსსმ მოსწავლე ლ. ს-ს მიმართ გამოეყენებინა შინაგანაწესით გათვალისწინებული ღონისძიებები. სკოლის დირექტორის განმარტებით, ლ. ს. არის სსსმ მოსწავლე და საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომას, საკითხი განსახილველად კი იმიტომ არ გადასცა დისციპლინურ კომიტეტს, რომ სკოლის შინაგანაწესის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. აუდიტის დეპარტამენტმა მიიჩნია, რომ ამ ასპექტში დაირღვა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი, რადგან ლ-ს საკითხის განხილვა არ წარმოადგენდა დირექტორის კომპეტენციას და უნდა გადასცემოდა დისციპლინურ კომიტეტს.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2017 წლის 27 იანვრის წერილის თანახმად, 2014 წლის დეკემბრიდან, სამსახური ლ. ს-ს უწევდა ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფსიქოლოგიურ მომსახურებას. 2015 წლის ივნისში ლ-მ შეწყვიტა სიარული მათ ცენტრში და დადიოდა ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტში ფსიქოლოგ ა. ყ-თან. ბავშვს ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი და მასთან ასევე მასთან მუშაობდა ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს მულტიდისციპლინური გუნდი. მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, 2016 წლის 10 ოქტომბერს ჩატარდა გაფართოებული შეხვედრა ყველა ჩართული მხარის მონაწილეობით, სადაც შედგა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, ბავშვი აგრძელებდა ცენტრში სიარულს, ის ჩართული იყო ჯგუფურ მუშაობაში, რომელიც დასრულდა 2016 წლის 27 დეკემბერს (12 სესია, ყოველი სესიის ხანგრძლივობა ერთი საათი, კვირაში ერთხელ). დამატებით, ლ. დადიოდა ნეიროგანვითარების ცენტრში, ქცევით თერაპიაზე, და ინდივიდუალურ თერაპიაზე საოჯახო კრიზისული ინტერვენციის სამსახურში, სადაც მუშაობა მიმდინარეობდა როგორც ბავშვთან, ასევე მშობელთან. სულ ჩატარდა 12 შეხვედრა, რადგან სახელმწიფო დაფინანსების დასრულების გამო ვიზიტები შეწყდა. თანაკლასელების მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრის ჩატარების თაობაზე წერილში აღნიშნულია, რომ მისი ორგანიზება სკოლას უნდა განეხორციელებინა. ამასთან, ნეიროგანვითარების ცენტრის ქცევითი თერაპევტი ესწრებოდა გაკვეთილებს, აკვირდებოდა და წარმართავდა ბავშვის ქცევას, რომელსაც უნდა მიეწოდებინა ბავშვის ქცევის აღწერილობა, რის საფუძველზეც შეძლებდნენ არგუმენტირებულ საინფორმაციო შეხვედრის წარმართვას თანაკლასელების მშობლებთან. საბოლოოდ, ქცევის აღწერილობის მიწოდება არ მოხდა და, შესაბამისად, შეხვედრა არ ჩატარდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) 2017 წლის 1 თებერვლის წერილის თანახმად, ლ. ს-ს ქცევის მოწესრიგების მიმართულებით მუშაობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი. 2016 წელს სამინისტროს ინიციატივით ორგანიზაციამ „საქართველოს ბავშვები“

განახორციელა „პოზიტიური ქცევის მართვის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც, სკოლის სივრცეში, ლ. ს-სთან ინდივიდუალური მუშაობა მიმდინარეობდა. აღნიშნული პროგრამის განხორციელება იგეგმება მიმდინარე წელსაც. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. დამატებითი რესურსის აყვანასთან დაკავშირებით სამინისტრომ აღნიშნა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციულ და ფინანსურ ავტონომიას. აქედან გამომდინარე, სკოლის დირექციას უფლება აქვს, საჭიროებიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება.

ნეიროგანვითარების ცენტრის 2017 წლის 30 იანვრის წერილის თანახმად, ლ. ს-ს მშობელმა, მანდატურის სამსახურის რჩევის საფუძველზე, მომართა ნეიროგანვითარების ცენტრს. მომართვის მიზეზი იყო სასკოლო გარემოში საგაკვეთილო პროცესში ლ-ს იმპულსურობა და მისი აგრესიული ქცევა თანაკლასელების მიმართ. ნეიროგანვითარების ცენტრის ქცევითმა თერაპევტმა 122-ე საჯარო სკოლაში ლ-სთან მუშაობა დაიწყო 2016 წლის 27 ოქტომბერს და დაასრულა 2016 წლის 6 დეკემბერს. სულ განხორციელდა 22 ვიზიტი. აქედან, კვირაში სამჯერ, დღის განმავლობაში, თერაპევტი საგაკვეთილო პროცესს ესწრებოდა 9 საათიდან 12 საათამდე, ხოლო ორ დღეს - დილის 9 საათიდან 2 საათამდე. 11 დეკემბრიდან არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს ბავშვები“ 122-ე სკოლაში დაიწყო რთული ქცევის მართვის პროექტის განხორციელება. პროექტის ფარგლებში, პრობლემის მოგვარების მიზნით, დაისახა მასწავლებლის გაძლიერების სტრატეგია, რაც მომავალში თავად მასწავლებელს მისცემდა შესაძლებლობას საგაკვეთილო პროცესში ემართა ლ-ს ქცევა. რადგან ქცევის მართვისა და სოციალურად მისაღები ქცევის ფორმირების პროცესისათვის მნიშვნელოვანია ბავშვთან მიმართებაში გამოყენებული იყოს ერთი კონკრეტული სტრატეგია, ლ. ს-ს სოციალურად მისაღები ქცევის ფორმირებაზე პასუხისმგებლობა აიღო არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს ბავშვები“, ხოლო ნეიროგანვითარების ცენტრის ქცევითმა თერაპევტმა ამ არასამთავრობო ორგანიზაციასთან კონსულტაციის და შეთანხმების საფუძველზე შეწყვიტა ლ. ს-ს ქცევის მართვაზე მუშაობა სასკოლო გარემოში.

2017 წლის 24 იანვარს განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ 122-ე საჯარო სკოლაში დაიწყო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებლების მიერ მოსწავლეებთან მუშაობის ტექნიკის დაუფლებას. პროგრამა გაგრძელდა დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში. სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ, განმცხადებელს უწევს შვილის გაკვეთილებზე ყოველდღიურად დასწრება, ვინაიდან სკოლის დირექტორის, დამრიგებლის და სხვა მშობლების მოთხოვნაა, რომ მან უზრუნველყოს სხვა ბავშვების უსაფრთხოება. ოჯახს არ აქვს სპეციალური მასწავლებლის დაფინანსების საშუალება, რის გამოც, მის ფუნქციას ასრულებს მშობელი. 2017 წლის 28 აპრილს განმცხადებელმა სახალხო დამცველს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია, რომლის თანახმად, მასწავლებლების გადამზადების პროგრამა შეწყვეტილია და სამინისტრო არ ასახელებს კონკრეტულ დროს,

თუ როდის გაგრძელდება ეს პროგრამა. ლ-ს დედას უწევდა გაკვეთილებზე დასწრება იანვრის, მარტისა და აპრილის თვეებში. აპრილის შუა რიცხვებში, მან კატეგორიულად მოითხოვა სამინისტროსგან ღონისძიებების გატარება და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადა დირექტორმა სპეციალური მასწავლებლის ვაკანსია. კონკურსსანტებთან გასაუბრებას ასევე ესწრებოდა ინკლუზიური განთლების განვითარების განყოფილების წევრი ლ. ჯ. აპლიკანტთა არაკომპეტენტურობის გამო, კანდიდატების შერჩევა ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ, ლ-ს დედამ სკოლის დირექციას შესთავაზა, რომ ოცდახუთსაათიან მომსახურებაზე გამოყოფილი ანაზღაურება (250 ლარი) შეეთავაზებინათ ათსაათიანი მომსახურებისთვის, რათა დაესაქმებინათ კვალიფიციური კადრი. დირექტორმა ხელმეორედ გამოაცხადა ვაკანსია და შტატგარეშე მოსამსახურედ მიიღეს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც მუშაობს კვირაში ორი დღე, ხოლო დანარჩენი 3 დღის განმავლობაში კვლავ მშობელს უწევს სკოლაში სიარული.

2017 წლის 1 სექტემბერს ლ-ს მშობლებმა ზეპირად აცნობეს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს, რომ არ იციან განათლების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროგრამის¹ დეტალები. მათი ინფორმაციით, სპეციალისტები იქნებიან სკოლაში კვირაში ორჯერ და პროგრამა განხორციელდება დეკემბრამდე. ასევე, მათ დირექტორმა აცნობა, რომ სკოლას ვეღარ ეყოლება ლ-სთვის გამოყოფილი სპეციალური მასწავლებელი. 2017 წლის 6 ნოემბერს ლ-ს მშობლებმა ზეპირად აცნობეს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს, რომ პროგრამა ხორციელდება და პროგრამის ფარგლებში აიყვანეს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ყოველ დღე არის ლ-სთან. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პროგრამა ხორციელდება დეკემბრის ჩათვლით და იანვრიდან სპეციალური მასწავლებლის მომსახურება აღარ დაფინანსდება.

2. სამართლებრივი შეფასება

თანასწორობის უფლება დაცულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“² სასამართლო განმარტავს, რომ კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის

¹ პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებლების მიერ მოსწავლეებთან მუშაობის ტექნიკის დაუფლებას.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 1

შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით.³

ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური - უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ, გამორიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ვერ აკმაყოფილებენ რაიმე კრიტერიუმს. ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება N 2/1/473, II, 2

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, საერთო პოლიტიკა ან ღონისძიება, რომელმაც გამოიწვია არაპროპორციულად მავნე შედეგი ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ, შეიძლება ასევე ჩაითვალოს დისკრიმინაციულად, იმის მიუხედავად, რომ იგი არ ისახავდა ასეთ მიზანს და არ იყო უშუალოდ ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული.⁴

2.1 კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას ადგილი ჰქონდა თანაბარ მოპყრობას არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი პირის მიმართ

როგორც განცხადების შინაარსიდან ირკვევა, საქმე შეეხება სსმ მოსწავლის სასკოლო, მაშასადამე, დაწყებითი ზოგადი განათლების მიღების საკითხს. აქედან გამომდინარე, შესაბამისი უფლების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ***განათლების მიღების საყოველთაო უფლებას*** განსაზღვრავს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, განათლება უნდა იყოს კონვენციაში გატარებული იდეების დანერგვის ინსტრუმენტი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარი.⁵ ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია კი საქართველოს ავალდებულებს, ჩამოაყალიბოს ბავშვის ინტერესებზე მორგებული განათლების სისტემა, უზრუნველყოს მათთვის ყველა საჭირო უნარის გამომუშავება და სასწავლო პროცესში დაიცვას ადამიანის უფლებები.⁶

ზოგადი განათლების საყოველთაო უფლების შინაარსს, მის მიზანს და მნიშვნელობას კიდევ უფრო აკონკრეტებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად ***განავითაროს თავისი პიროვნება*** და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისათვის. ეს პოზიტიური ვალდებულება არ გულისხმობს ზოგადი განათლების მიღების პროცესის მხოლოდ ფორმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. განათლების ხელმისაწვდომობაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება განათლების პროცესის იმგვარი ორგანიზება, როგორც ნებისმიერი საგანმანათლებლო შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს საკუთარი პოტენციალის

⁴ ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic* [GC], no. [57325/00](#), 13/11/2007, § 175

⁵ ECtHR, *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*, nos. 5095/71, 5920/72, 5926/72, 07/12/1976, § 53

⁶ Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 2

მაქსიმალური გამოვლენის საშუალებას მისცემს. ზუსტად ამ მიზანს ემსახურება ინკლუზიური განათლების დანერგვა. განათლების ამ მოდელის თანახმად, საგანმანათლებლო სისტემა თვითონ უნდა მოერგოს მოსწავლეს. სწორედ ეს უკანასკნელი მოდელი უზრუნველყოფს ადამიანების განსხვავებულობის პატივისცემას. იმისთვის, რომ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვის მიზანი იქნეს მიღწეული, საჭიროა რეალური ცვლილებები, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის ისე საზოგადოების მენტალიტეტსა და კულტურაში.⁷

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჯარო სკოლაში ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ისევე, როგორც საჯარო სკოლაში *ინკლუზიური განათლების* დანერგვა. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ბ²“ ქვეპუნქტი, *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ* მიიჩნევს იმ პირს, რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის *მოდულიზირების* და გარემოზე *ადაპტირების* საფუძველზე *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის* შედგენა და განხორციელება. რაც შეეხება ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო განმარტებას, დასახელებული მუხლის „უ“ ქვეპუნქტით, იგი წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში, თანატოლებთან ერთად.

განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ლ-ს წლების განმავლობაში ექმნება დაბრკოლება, მიიღოს სრულყოფილი განათლება. მას უწევდა სკოლებისა და კლასების გამოცვლა, რაც კიდევ უფრო ართულებდა მის შეგუებას საზოგადოებასთან. პროფესიონალების დასკვნები ცხადყოფს, რომ რესურსების ნაკლებობა ხელს უწყობს ლ-ს უსუსურობის განცდას, რაც მის იმპულსურ ქცევას განაპირობებს. ასევე, სკოლის გარემო არ არის უსაფრთხო არც ლ-სთვის და არც დანარჩენი ბავშვებისთვის. კერძოდ, ლ. ვერ აკონტროლებს ქცევას, რის შედეგადაც მან დააზიანა სხვა ბავშვი, ხოლო შემდეგ განცდილი სტრესის შედეგად, გაჩნდა თვითდაზიანების საფრთხე. 2016 წლის 8 ნოემბერს დაიწერა მულტიდისციპლინური გუნდის ამომწურავი შეფასება და რეკომენდაციები, თუმცა, თვეების განმავლობაში, ლ-სთვის არ გამოუყვიათ სპეციალური მასწავლებელი, რაც მომავალში მსგავს ინციდენტებს თავიდან ააცილებდა ბავშვს. ამის საპირისპიროდ, სპეციალური მასწავლებლის მოვალეობის შესრულება მშობელს მოუწია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ადამიანის უფლებათა დაცვის პოზიტიურ ვალდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საჯარო სერვისების, მაგალითად, დაწყებითი განათლების უზრუნველყოფის კონტექსტში, სადაც

⁷ Recommendation CM/Rec(2013)2 of the Committee of Ministers to member States on ensuring full inclusion of children and young persons with disabilities into society (Adopted by the Committee of Ministers on 16 October 2013 at the 1181st meeting of the Ministers' Deputies)

სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია, დაიცვას მოსწავლეთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდების უფლებები, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადი არიან და იმყოფებიან სკოლის ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ.⁸

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განათლების სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა ადეკვატურად არ ასახავს რეალობას და ძირითად პრობლემაზე არ არის ორიენტირებული. დასკვნაში არ არის შეფასებული, რომ არსებობდა ლ-ს თვითდაზიანების საფრთხე და რომ ადგილი ჰქონდა ლ-ს და სხვა ბავშვების უფლებების დარღვევას, ასევე არ არის დასახული პრობლემების გადაჭრის გზები სკოლაში უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით. ლ-სთან დაკავშირებით, დასკვნაში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ უნდა შემდგარიყო დისციპლინური კომიტეტი, რომელიც იმსჯელებდა ლ-ს მიერ სხვა მოსწავლის დაზიანების ფაქტზე. ვინაიდან ლ. ვერ აკონტროლებს თავის ქცევას, დისციპლინური კომიტეტი მას ვერ დააკისრებდა პასუხისმგებლობას. შესაბამისად, რეკომენდაცია, რომ დისციპლინურ კომიტეტს ლ-ს ქცევაზე ემსჯელა, არ არის რელევანტური და პრობლემის არსს ვერ ცვლის.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კერძო პირებზე ან სკოლებზე მოვალეობების დაკისრება სახელმწიფოს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან.⁹ აღსანიშნავია, რომ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური საქმის კურსში იყო, რომ ლ-ს თანაკლასელების მშობლებს ბავშვის მიმართ სტერეოტიპული და არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვთ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ არ გაუმართავთ მშობლებთან შეხვედრა. ამასთან, არასწორია სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ თავად სკოლის ადმინისტრაციამ არ უზრუნველყო მშობლებთან შეხვედრა, რადგან სახალხო დამცველის წარმომადგენლები პირადად შეესწრნენ, თუ როგორ სთხოვდა დირექტორი მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებს, ჩაეტარებინათ მშობლებთან შეხვედრა. მანდატურის სამსახურმა პასუხისმგებლობა ასევე გადააკისრა ნეიროგანვითარების ცენტრს, რომელმაც არ მიაწოდა ლ-ს ქცევის აღწერა და შეფასება. მანდატურის სამსახურის განმარტებით, აღნიშნულმა გარემოებამ შეაფერხა მათი მშობლებთან შეხვედრა.

საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპია, რომ ბავშვის ინტერესები უნდა იყოს უმთავრესი ყველა სახელმწიფოსთვის.¹⁰ სკოლაში უნდა იყოს ჰუმანური ატმოსფერო, რომელიც ბავშვს მისცემს საშუალებას განავითაროს მისი შესაძლებლობები.¹¹ გაეროს ბავშვის

⁸ ECtHR, *O'keeffe v. Ireland* (GC), no. 35810/09, 28/01/2014, § 145; *Grzelak v. Poland*, no. 7710/02, 15/06/2010, § 87; *Ilbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey*, no. 19986/06, 10/04/2012, § 35

⁹ ECtHR, *Costello-Roberts v. The United Kingdom*, no. 13134/87, 25/03/1993, § 27; *Storck v. Germany*, no. 61603/00, 16/09/2005, § 103

¹⁰ Committee on the rights of the children, General Comment no. 14 (2013) article 3 (1): the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration, § 37

¹¹ Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 12

უფლებათა კონვენცია საქართველოს ავალდებულებს, ჩამოაყალიბოს ბავშვის ინტერესებზე მორგებული განათლების სისტემა, უზრუნველყოს მათთვის ყველა საჭირო უნარის გამომუშავება და სასწავლო პროცესში დაიცვას ადამიანის უფლებები.¹² სკოლის გარემო უნდა იყოს თავისუფალი და ბავშვებისადმი გამგები სულისკვეთებით გამსჭვალული, მშვიდი, ტოლერანტული, სქესთა თანასწორობაზე დამყარებული და მეგობრული განსხვავებული ჯგუფების მიმართ.¹³

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ინკლუზიური განათლება არ არის არც სახელმწიფოს და არც სკოლის კეთილი ნება, იგი განათლების საყოველთაო კონსტიტუციური უფლების არსიდან და სახელმწიფოს შესაბამისი პოზიტიური ვალდებულებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს. ამდენად, ინკლუზიური განათლება უნდა მივიჩნიოთ განათლების კონსტიტუციური უფლების რეალიზების იმგვარ ფორმად, რომლის არამართლზომიერი შეზღუდვაც ავტომატურად ნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.

ზემოთაღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები ვერ უმკლავდებიან ლ-ს ქცევას, ბავშვი არ არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში, არ არის შექმნილი მისთვის და სხვა ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემო, გაკვეთილები ხშირად ვერ ტარდება, სახელმწიფო კი არ უზრუნველყოფს სათანადო ღონისძიებებს. შესაბამისად, სახელმწიფო არღვევს პოზიტიური ვალდებულებას, უზრუნველყოს ლ-სთვის მშვიდ და ტოლერანტულ გარემოში ინკლუზიური განათლების მიღების უფლება.

2.2. განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ თანაბარი მოპყრობა

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს, მასზე თანაბარი წვდომის (ხელმისაწვდომობის) გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.¹⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მთავარი ღირებულება არის ადამიანი როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი.¹⁵

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იმის დასადგენად, აქვს თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, ასევე უნდა განისაზღვროს, ამ კანონით გათვალისწინებული რომელი ნიშნით მოხდა არსებითად უთანასწორო პირობებში

¹² Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 2

¹³ Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 19

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2/389 გადაწყვეტილება, II-30

მყოფი პირების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება. დისკრიმინაციის აკრძალვა არ წარმოადგენს პასიურ ვალდებულებას, სახელმწიფომ უნდა გაატაროს აქტიური პოზიტიური ღონისძიებები რათა გამოასწოროს არათანასწორი გარემო.¹⁶ აშკარა და/ან ფარული დისკრიმინაცია შეურაცხყოფს ბავშვის ღირსებას და აქვეითებს ან საერთოდ ანგრევს ბავშვის თვითშეფასებას, სწავლის სურვილს.¹⁷

სახალხო დამცველის მიერ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ლ. ს. არის სსსმ მოსწავლე, რომელსაც აქვს ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი. მას არ ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი, რომელიც დაეხმარებოდა, სასწავლო პროცესში ჩართულიყო. ვინაიდან ბავშვის სპეციალურ საჭიროებებზე მუდმივად არ მუშაობდა სპეციალისტი, მისი მდგომარეობა დამძიმდა, რამაც სხვა მოსწავლის დაზიანება და შემდეგ თვითდაზიანების მცდელობა გამოიწვია. მომხდარი ფაქტის შემდეგაც, სამი თვის განმავლობაში, ბავშვს არ ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი, ასევე შეჩერებული იყო მასწავლებლების გადამზადების პროგრამა. სამი დღის განმავლობაში ის ვერ სარგებლობდა ინკლუზიური განათლების უფლებით, რადგან არ გყავდა სპეციალური პედაგოგი. იანვრიდან მას არ ეყოლება სპეციალური მასწავლებელი რაც გულისხმობს იმას, რომ მას ხელოვნურად ათანაბრებენ სხვა მოსწავლეებთან და არ ხდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის (სპეციალური საჭიროების) გათვალისწინება.

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად სასწავლო პროცესში მხოლოდ ფორმალურ მონაწილეობას. ინკლუზიის, როგორც განათლების უფლებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფის მექანიზმის მიზანს არ წარმოადგენს მოსწავლეთა მექანიკური გათანაბრება. ამგვარი გათანაბრება ინკლუზიის და, მაშასადამე, განათლების სფეროში თანასწორობის პრინციპთან თავად მოვიდოდა წინააღმდეგობაში. ინკლუზიის არსის გაგებისათვის პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია „თანასწორობის“ განსხვავებას „გათანაბრებისგან“. ინკლუზიური განათლების პროცესის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია მოსწავლეთა სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად ინკლუზიური განათლების იდეასთან და მის არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. მისი იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ განათლების სფეროში თითოეული მოსწავლის თვითრეალიზაციისთვის ინდივიდუალური შესაძლებლობის გარანტირებას.

ფაქტების ანალიზის შედეგად სახალხო დამცველი მივიდა დასკვნამდე, რომ სამი დღის განმავლობაში ლ. ს. ვერ სარგებლობდა ინკლუზიური განათლების უფლებით, ხდებოდა მისი გათანაბრება სხვა მოსწავლეებთან, იმის მიუხედავად, რომ ლ-ს, სხვა მოსწავლეებისგან

¹⁶ committee on the rights of the children general comment no. 14 (2013) article 3 (1): the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration, § 41

¹⁷ Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 10

განსხვავებული ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს. სამი დღის განმავლობაში კლასის ყველა მოსწავლის, მათ შორის ლ-ს, მიმართ გამოიყენებოდა ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგია, ამით კი უარყოფილია ბავშვებს შორის განსხვავებულობა და ყურადღების მიღმა დატოვებული ლ-ს ინდივიდუალობა და ჯანმრთელობის მდგომარეობა. მართალია, 2017 წლის ნოემბრიდან პროგრამის ფარგლებში ლ-ს ყოველ დღე ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი, მაგრამ 2018 წლის იანვრიდან მას არ ეყოლება დამხმარე მასწავლებელი.

2.3. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური გამართლება

სსიპ 122-ე საჯარო სკოლაში, ლ-ს გარდა, არის 11 სსსმ მოსწავლე და 1 სპეციალური მასწავლებელი. განვითარებული მოვლენების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ლ-ს აქვს განსაკუთრებული საჭიროება, რის გამოც მხოლოდ ერთი სპეციალური მასწავლებელი არ იყო საკმარისი, რომ მას სრულყოფილად ემუშავა ლ-სთან და დანარჩენ 11 სსსმ მოსწავლესთან. სკოლის სპეციალური მასწავლებელი დღემდე მუშაობს სხვა სსსმ მოსწავლეებთან, მან ასევე დასახა ლ-სთან მუშაობის სხვადასხვა სტრატეგია. ამის შემდეგ, აღნიშნული მასწავლებელი დროებით ჩაანაცვლა ნეიროგანვითარების ცენტრის წარმომადგენელმა, ხოლო შემდგომი რამდენიმე თვის მანძილზე, ხუთივე დღის განმავლობაში ლ. იყო სპეციალური მასწავლებლის დახმარების გარეშე, რომლის ნაცვლად მასთან დროს მშობელი ატარებდა. მიმდინარე წლის აპრილის შუა რიცხვებიდან სახელმწიფომ აღიარა პრობლემის სიმწვავე - რომ ლ-ს განსხვავებული მიდგომა ესაჭიროება და მისთვის ინდივიდუალური მასწავლებლის აყვანა გადაწყვიტა, თუმცა კვალიფიციური პირი ლ-სთან მუშაობას კვირაში მხოლოდ ორი დღის განმავლობაში დასთანხმდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვირაში სამი დღის განმავლობაში ლ-ს არ ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი, რის გამოც მასთან დროს დედა ატარებდა. მშობლების მიერ სახალხო დამცველისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის იანვრიდან ლ-სთან აღარ იმუშავეს სპეციალური მასწავლებელი.

ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რამდენად უზრუნველყოფს ლ-ს თანასწორობის უფლებას სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი საშუალებები. მასწავლებლების ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება, რომ მათ აქვთ სტერეოტიპული განწყობები და არ აქვთ საკმარისი ცოდნა, როგორ გაუმკლავდნენ ლ-ს ქცევას. ამასთან, მისასალმებელია, რომ მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა ხორციელდება, თუმცა, ერთი სემესტრით პროგრამის განხორციელება არ არის ლ-ს უფლების დაცვის თანაზომიერი საშუალება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზლუდავი საკანონმდებლო რეგულირება წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამასთან, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის

მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.¹⁸ დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს მიზანი, ინტერესი, რომლის მიღწევის საპირწონე ამა თუ იმ უფლების დარღვევაა. არც ერთი ინტერესის მიღწევა არ შეიძლება მეორე ინტერესის ხელყოფის ხარჯზე.¹⁹ უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, ნამდვილად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების, ინტერესების უზრუნველყოფა.²⁰

სამი დღის განმავლობაში ლ-სთან არ მუშაობდა სპეციალური მასწავლებელი და მას დედა ანაცვლებდა, იანვრიდან კი ლ-ს არ ეყოლება მასწავლებელი, შესაბამისად, ის სრულყოფილად ვერ სარგებლობდა ინკლუზიური განათლების უფლებით, რამდენადაც დედა მას ვერ გაუწევს სათანადო პროფესიონალურ დახმარებას. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კვირაში ორი დღის განმავლობაში სპეციალური მასწავლებლის დანიშვნა და შემდეგ მისი მოხსნა არ წარმოედგენს მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებას.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არ მიიღო მხედველობაში ბავშვის სპეციალური საჭიროებები, არ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები, რის შედეგადაც ლ. ს. გახდა ირიბი დისკრიმინაციის მსხვერპლი ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- დაუყოვნებლივ დაიწყოს სსიპ 122-ე საჯარო სკოლის მასწავლებლების ეფექტურად გადამზადება, რომ მათ გამოიმუშავონ სსსმ მოსწავლესთან ურთიერთობის უნარები;
- უზრუნველყოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ლ. ს-ს თანაკლასელების მშობლებთან შეხვედრის ჩატარება;
- უზრუნველყოს, რომ ლ. ს-სთან ერთად მთელი სასწავლო კვირის განმავლობაში იყოს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალური მასწავლებელი.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოდ 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება #3/1/512, II, 60

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/4/557,571,576, II, 27

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23

პატვისცემით,